ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება

№47

ახმეტის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების, გერბის და დროშის შესარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ

`ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ~ საქართველოს ორგანული კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის და 29-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო აცხადებს შესარჩევ კონკურსს ახმეტის მუნიციპალიტეტის სიმბოლიკის (გერბი, დროშა) შემუშავების მიზნით.

კონკურსის ძირითადი პირობები

1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანი არის ახმეტის მუნიციპალიტეტის სიმბოლიკის - გერბის და დროშის საუკეთესო პროექტების შერჩევა და გამარჯვებული პროექტის გამოვლენა.

2. ზოგადი კრიტერიუმები

1. კონკურსის მომწყობია ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

2. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ყველა მოქალაქეს გარდა საკონკურსო კომისიის წევრებისა.

3. კონკურსი ტარდება ერთ ტურად. სამუშაო ენაა ქართული.

4. კონკურსი ჩატარებულად ჩაითვლება არანაკლებ სამი ავტორის მონაწილეობის შე¬მ¬¬¬თ-ხვ¬ევაში.

5. გერბისა და დროშის პროექტები შექმნილი უნდა იყოს ჰერალდიკის კანო¬ნე¬ბ¬ის გა-თვალისწინებით და შეძლებისდაგვარად ითვალისწინებდეს შემდეგ პრინციპებს:

ა) ჰერალდიკური მემკვიდრეობითობა;

ბ) ტერიტორიის ისტორიული მემკვიდრეობა;

გ) ტერიტორიის გეოგრაფიული მდებარეობა;

დ) ადმინისტრაციული ერთეულის მახასიათებელი ისტორიული ან მითოლოგიური ნიშანი (სიმბოლო).

6. კონკურსთან დაკავშირებულ ყველა დამატებით საკითხზე ინფორმაციას იძ¬ლევა კონკურსის კოორდინატორი ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

3. კონკურსის პირობები

1 გერბისა და დროშის პროექტების შესრულება დასაშვებია ნებისმიერი სახვითი საშუა¬ლ-ებით და კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებით.

2. საკონკურსო პროექტს კონკურსანტი წარმოადგენს კონვერტით, რომელსაც უნდა ეწეროს კომისიის დასახელება და მისამართი. კონვერტში მოთავსებული თითოეული პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს A4 ზომის ფორმატზე ზედა მარჯვენა კუთხეში ავტორის დევიზის (კოდის) მითითებით და უნდა ერთვოდეს მოკ¬ლე შინაარსობრივი აღწერა-დასაბუთება.

3. წარმოდგენილ კონვერტში უნდა იდოს მცირე ზომის დალუქული კონვერტი, რომელზეც ზემოდან აღნიშნული იქნება ავტორის დევ¬ი¬ზ¬ი (კოდი), მასში მოთავსდება ინფორმაცია ავტორის ვინაობის, მისამართისა და სხვა საკო¬ნტ¬აქტო მონაცემების შესახებ.

4. კონკურსში მონაწილეობა დასტურდება კომისიის მიერ გერბისა და დროშის დალუ¬ქ¬უ¬ლი კონვერტის მიღებით, რაც ამავდროულად ნიშნავს, რომ კონკურსის ზემოთ ჩამოთვლილი პირო¬ბ¬ები მისაღებია კონკურსანტისათვის.

4. კონკურსის ჩატარების ვადები

1. კონკურსის გამოცხადება _ 2011 წლის 1 ივნისიდან

2. საკონკურსო პროექტების წარმოდგენის ბოლო ვადაა _ 2011 წლის 30 ივნისი

3. შედეგების გამოცხადება _ პროექტების წარდგენის ვადის ამოწურვიდან 10 დღის ვადაში

5. გამარჯვებული პროექტისთვის დაწესებული კონკურსის პრემიები

კონკურსში გამარჯვებისათვის დაწესებულია პრემია 1000 ლარი

6. კონკურსის მონაწილეთა საავტორო უფლებები

1. გამარჯვებული პროექტები გადადის კონკურსის ორგანიზატორების საკუთ¬რ¬ე¬ბ¬აში საავტორო უფლებების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, ხოლო ყველა სხვა პროექტი მოთხოვნისთანავე უბრუნდება ავტორს.

2. კონკურსის შედეგები გამოცხადდება საინფორმაციო საშუალებებით.

დამატებითი მოთხოვნები (ნიმუში):

ა) გერბი გამოსახული უნდა იყოს ჰერალდიკურ (ფრანგულ) ფარზე;

ბ) გერბის ფარის ზემოდან უნდა მოთავსდეს ტერიტორიული ერთეულის გამომსახველი ვერცხლის სამ კოშკიანი, ქონგურებიანი გვირგვინი;

გ) დევიზის ბაფთაზე უნდა გამოისახოს წარწერა "ახმეტა"; (მუნიციპალიტეტის სახელწოდება)

საკონკურსო პროექტების მიღება იწარმოებს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოში: (მისამართი: ქ. ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქ. #49, II სართული). ტელ: 877 95 30 77; 877 50 01 40.

7.დაევალოს საკრებულოს აპარატს გამოაქვეყნოს კონკურსის პირობები.

8. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე: ალექსი მაილაშვილი